ბრძანება:**ბ61.012136417**

თარიღი:**30/12/2021**

ბრძანება

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „ოქსინოს“ (ს/კ: 206028993) შორის 2020 წლის 31 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-513-1-24980 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა (შემდგომში: სააგენტო) და სს „ოქსინოს“ (ს/კ: 206028993) (უფლებამონაცვლე: შპს „ლაღიძე პლაზა“ ს/კ: 211377767; შემდგომში: მყიდველი) შორის 2020 წლის 31 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-513-1-24980 ხელშეკრულების (შემდგომში: ხელშეკრულება) საფუძველზე, მყიდველს აუქციონის წესით, საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, კვარტალი II-ის მიმდებარედ არსებული 370 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.17.14.001.307, შემდგომში: პრივატიზებული ქონება) (დღეის მდგომარეობით ს/კ: №01.17.14.001.447). ხელშეკრულების „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქონების გადაცემის პირობად განისაზღვრა შემდეგი შეზღუდვა: „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში მიმდებარე არეალთან ერთად“.

მყიდველის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა 2021 წლის 08 დეკემბრის №QN1866807 განცხადება, რომლითაც მოითხოვა №01.17.14.001.447 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ხელშეკრულების „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის გაუქმება. მყიდველის განმარტებით, რადგან მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი არის 5000 კვ.მ.-ზე ნაკლები, მასზე არ არის მოთხოვნილი განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმება.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 17 დეკემბრის №16-01213512143 კორესპონდენციის თანახმად, პრივატიზებული ქონების სხვა უძრავ ქონებებთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი საკადასტრო ერთეული (ს/კ: 01.17.14.001.447) აკმაყოფილებს ტერიტორიაზე მოქმედი ფუნქციური ზონისთვის - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დადგენილ მინიმალურ პარამეტრებს. შესაბამისად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შესაძლებლად მიიჩნია არსებული ვალდებულების - მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში მიმდებარე არეალთან ერთად - გაუქმება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 23 დეკემბრის №21.1802.2012 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №91 განკარგულებების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „ოქსინოს“ (ს/კ: 206028993) შორის 2020 წლის 31 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-513-1-24980 ხელშეკრულებაში და გაუქმდეს „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში მიმდებარე არეალთან ერთად“.
2. წინამდებარე ბრძანება წარმოადგენს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „ოქსინოს“ (ს/კ: 206028993) შორის 2020 წლის 31 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-513-1-24980 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და გათანაბრებულია ხელშეკრულების ცვლილებასთან.
3. წინამდებარე ბრძანება ექვემდებარება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას.
4. წინამდებარე ბრძანებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით
5. წინამდებარე ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული პირის მიერ, შესაძლებელია მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი